

შპს ოლპრინტჯი
2024 წლის
ფინანსური ანგარიშგება

შინაარსი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
მოგება ან ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	4
კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება	5
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	6
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები	7-16

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ლარი	შენიშვნა	31/12/2024	31/12/2023
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	(7)	3,847,028	2,743,946
სხვა გრძელვადიანი მოთხოვნები		250,000	134,470
არამატერიალური აქტივები	(8)		
სულ გრძელვადიანი აქტივები		4,097,028	2,878,416
მიმდინარე აქტივები			
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	(9)	828,337	711,217
სასაქონლო მატერიალური მარაგები	(5)	314,814	66,960
ფული და ფულის ეკვივალენტები	(11)	154,205	1,412,226
სხვა მიმდინარე აქტივები		96,725	327,863
სულ მიმდინარე აქტივები		1,394,081	2,518,266
სულ აქტივები		5,491,109	5,396,682
საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები			
საკუთარი კაპიტალი	(13)		
საწესდებო კაპიტალი			0
გაუნაწილებელი მოგება/დაუფარავი ზარალი		4,924,747	4,083,554
სულ საკუთარი კაპიტალი		4,924,747	4,083,554
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	(10)	114,767	97,675
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულება		278,489	1,104,527
სხვა დარიცხული ვალდებულებები		19,106	32,624
მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება		122,000	78,302
მოკლევადიანი სესხები		32,000	
სულ მიმდინარე ვალდებულებები		566,362	1,313,128
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		5,491,109	5,396,682

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება დამოწმებულია ხელმძღვანელობის მიერ 2025 წლის 30 სექტემბერს და მისი სახელით ხელი მოაწერეს:

დირექტორი



მოგება ან ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშება
2024 წლის 31 დეკემბრის და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ლარი	შენიშვნა	31/12/2024	31/12/2023
შემოსავალი	(4)	6,325,335	5,842,529
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	(5)	(1,806,869)	(1,824,725)
სხვა შემოსავალი		852,118	87,391
პერსონალის ხარჯები		(2,092,967)	(1,606,044)
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი		(433,820)	(346,903)
საპროცენტო ხარჯი		(116,045)	(107,023)
საოპერაციო ხარჯები	(6)	(764,214)	(779,089)
საოპერაციო მოგება/ზარალი		1,963,538	1,266,136
არასაოპერაციო შემოსავალი/(ზარალი)		(912,785)	0
საოპერაციო მოგება		1,050,753	1,266,136
წლის მოგება და მთლიანი სრული შემოსავალი (ზარალი)		1,050,753	1,266,136

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება დამოწმებულია ხელმძღვანელობის მიერ 2025 წლის 30 სექტემბერს და მისი სახელით ხელი მოაწერეს:


დირექტორი



კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრის და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ლარი	საწესდებო კაპიტალი	პარტნიორთა კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება/ზარალი	სულ კაპიტალი
ნაშთი 2023 წლის 1 იანვარი			3,060,043	3,060,043
			1,266,136	1,266,136
მოგება/(ზარალი) წლის განმავლობაში			(241,476)	(241,476)
			(1,149)	(1,149)
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)				
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში				
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბერი			4,083,554	4,083,554
მოგება/(ზარალი) წლის განმავლობაში				
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)			1,050,753	1,050,753
გაცემული დივიდენდები			(209,347)	(209,347)
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში			(213)	(213)
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბერი			4,924,747	4,924,747

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება დამოწმებულია ხელმძღვანელობის მიერ 2025 წლის 30 სექტემბერს და მისი სახელით ხელი მოაწერეს.

დირექტორი



ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ლარი	შპს ოლპრინტჯი	
	2024წ	2023წ
ფულადი სახსრების მოძრაობა საოპერაციო საქმიანობიდან		
მოგება ზარალი დაბეგვრამდე	1,050,753	1,266,136
კორექტირებები:	589,142	304,668
ცვეთა და ამორტიზაცია	435,981	346,903
გადასახადები		42,770
შემოსულობა/ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლიდან		(83,856)
არაფულადი შემოსულობა		(1,149)
ძირითადი საშუალების გაუფასურება	153,161	
კლება/ზრდა	(224,563)	(178,352)
ცვლილებები მარაგში	(247,854)	(26,377)
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	(133,504)	(48,630)
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	3,574	(21,842)
წინასწარ გაწეული ხარჯი	109,523	(122,970)
სხვა გადახდები	43,698	41,465
ოპერაციებიდან წარმოქმნილი ფულადი სახსრები	1,415,332	1,392,452
ოპერაციებიდან წარმოქმნილი ფულადი სახსრები		
გადახდილი პროცენტები		
გადახდილი მოგების გადასახადი		(42,770)
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		1,349,682
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(1,564,225)	(1,344,357)
ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან მიღებული თანხები	10,000	125,956
სხვა გრძელვადიანი მოთხოვნები	(115,530)	
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	(1,669,755)	(1,218,401)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
სასესხო მოთხოვნის ზრდა		4,719
სასესხო ვალდებულებების დაფარვა	(826,039)	
სასესხო ვალდებულების ზრდა	32,000	108,027
გადახდილი დივიდენდები	(209,347)	241,476
სხვადასხვა ხარჯები	(213)	
წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	(1,003,599)	(128,730)
ფულადი სახსრების, ფულადი სახსრების ექვივალენტებისა და საბანკო ოვერდრაფტის	(1,258,021)	2,552
ფულადი სახსრებისა და ფულადი სახსრების ექვივალენტების საწყისი ბალანსი	1,412,226	1,409,674
ფულადი სახსრების, ფულადი სახსრების ექვივალენტებისა და საბანკო ოვერდრაფტის	154,205	1,412,226
საბოლოო ბალანსი		

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება დამოწმებულია ხელმძღვანელობის მიერ 2025 წლის 30 სექტემბრის და მისი სახელით ხელი მოაწერეს დირექტორი

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1. ანგარიშგების წარმდგენი საწარმო

(ა) ბიზნეს გარემო

კომპანიის საქმიანობა ხორციელდება საქართველოში, შესაბამისად მასზე ზემოქმედებს საქართველოში მოქმედი ეკონომიკური ფაქტორები და ფინანსური ბაზრები, რომლებიც განვითარებადი ბაზრის თვისებებით ხასიათდება. საკანონმდებლო, საგადასახადო და მარეგულირებელი ნორმები განაგრძობენ განვითარებას, თუმცა ისინი იყენებენ განსხვავებულ ინტერპრეტაციებს და განიცდიან ხშირ ცვლილებებს, რაც სხვა საკანონმდებლო სირთულეებთან ერთად, საქართველოში მოქმედი ორგანიზაციებისთვის გარკვეულ გამოწვევებს წარმოადგენს. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება ასახავს ხელმძღვანელობის მიერ საქართველოს ბიზნეს გარემოს გავლენის შეფასებას კომპანიის ოპერაციებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე. მომავალი ბიზნეს გარემო შეიძლება განსხვავდებოდეს ხელმძღვანელობის შეფასებებისაგან.

(ბ) ორგანიზაცია და ოპერაციები

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ოლპრინტჯი რეგისტრირებული არის “მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის” შესაბამისად, რომელიც დარეგისტრირდა 2012 წლის 27 მარტს.

კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, ქ. თბილისი, ისნის რაიონი, სომხეთის ქუჩა #50 კომპანიის რეგისტრაციის ნომერია: 400044518;

კომპანიის ძირითადი საქმიანობა არის სარეკლამო სააგენტოების საქმიანობა.

კომპანიის დამფუძნებელთა სტრუქტურა შემდეგნაირია:

	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
დავით სამუშია (62001036904)	50%	50%
გიორგი მთიულშივილი (01003016535)	50%	50%

2. მომზადების საფუძველი

წინამდებარე ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით - ანუ დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. მენეჯმენტს სჯერა, რომ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება შესაფერისია კომპანიისთვის.

3. სამუშაო და წარსადგენი ვალუტა

კომპანიის სამუშაო ვალუტაა ქართული ლარი, რადგან, როგორც საქართველოს ეროვნული ვალუტა, ის მეტწილად ასახავს შესაბამისი მოვლენებისა და ვითარებების ეკონომიკურ არსს. ლარი ასევე წარმოადგენს წარსადგენ ვალუტას, წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მიზნებისთვის.

უცხოურ ვალუტაში გამოსახული ფულადი აქტივები და ვალდებულებები საანგარიშგებო თარიღისთვის გადაყვანილია ლარში, ამ თარიღისთვის დადგენილი გასაცვლელი სავალუტო კურსით. სარგებელი ან ზარალი, რომელიც წარმოიქმნება ამგვარი ოპერაციებისთვის განხორციელებული ანგარიშსწორების შედეგად აღიარებულია სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ლარში წარმოდგენილი ყველა ფინანსური ინფორმაცია დამრგვალებულია უახლოეს ლარამდე.

4. შემოსავალი

ლარი	2024 წ.	2023წ.
შემოსავალი რეალიზაციიდან	6,325,335	5,842,529
<u>სულ შემოსავალი</u>	<u>6,325,335</u>	<u>5,842,529</u>

5. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

ლარი	2024 წ.	2023წ.
სასაქონლო მატერიალური ფასეულობების ნაშთი 2024 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	66,960	40,583
სასაქონლო მატერიალური ფასეულობების შესყიდვა და წარმოება 2024 წელს	2,054,723	1,850,906
სასაქონლო მატერიალური ფასეულობების ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	(314,814)	(66,960)
<u>რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება</u>	<u>(1,806,869)</u>	<u>(1,824,529)</u>

6. საოპერაციო ხარჯები

ლარი	2024 წ.	2023 წ.
რეკლამის და მიწოდების ხარჯი	13,523	18,950
ბანკის საკომისიო	7,583	5,693
ავტომობილის ხარჯი	66,000	55,932
საკანცელარიო ხარჯი	5,438	5,114
ქონების ხარჯი	29,388	22,556
კომუნალური და საკომუნიკაციო მომსახურების ხარჯი	49,600	129,260
მივლინების ხარჯი	43,828	84,171
ადმინისტრაციული ხარჯი	548,854	457,413
<u>სულ საოპერაციო ხარჯები</u>	<u>764,214</u>	<u>779,089</u>

7. ძირითადი საშუალებები

ლარი	წმინდა საბალანსო ღირებულება 2023 წლის 1 იანვარს	ძირითადი საშუალების შემოსვლა	ძირითადი საშუალების გასვლა	ცვეთის ხარჯი	წმინდა საბალანსო ღირებულება 2023 წლის 31 დეკემბერს
ფინანსური ჯგუფი					
მიწა	198,204	322,000	(3,990)		516,214
შენობა	169,172			(13,624)	155,548
დაუმთავრებელი მშენებლობა	1,105,867	452,095			1,557,962
ნაგებობა	149,584			(15,358)	134,226
მანქანა-დანადგარები	871,659	399,341	(19,364)	(312,357)	939,279
ავეჯი და ოფისის აღჭურვილობა	102,640	46,722	(1,740)	(30,046)	117,576
სატრანსპორტო საშუალებები	146,750	344,066		(64,595)	426,222
<u>სულ ძირითადი საშუალებები</u>	<u>2,743,876</u>	<u>1,564,224</u>	<u>(25,094)</u>	<u>(435,980)</u>	<u>3,847,027</u>

8. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

ლარი	2024 წ. 31 დეკემბერი	2023 წ. 31 დეკემბერი
სავაჭრო მოთხოვნები	828,337	711,217
<u>სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები</u>	<u>828,337</u>	<u>711,217</u>

9. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

ლარი	2024 წ. 31 დეკემბერი	2023 წ. 31 დეკემბერი
მოწ. და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	114,767	97,675
სხვა ვალდებულება	173,106	110,926
<u>სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები</u>	<u>287,873</u>	<u>208,601</u>

10. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

ლარი	2024 წ. 31 დეკემბერი	2023 წ. 31 დეკემბერი
ნაღდი ფული სალაროში	1,255	32,553
ბანკში არსებული ანგარიშები	152,950	1,379,673
<u>ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები</u>	<u>154,205</u>	<u>1,412,226</u>
<u>ფინანსური მდომარეობის და ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებებში</u>		

11. გადასახადები

2016 წლის 13 მაისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონპროექტი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ასევე ცნობილია მოგების გადასახადის ესტონური მოდელის სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე. კანონი ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვარს.

2016 წლის 1 იანვრიდან ყველა გადასახადის ანგარიშსწორება ხდება ერთიან სახელმწიფო სახაზინო ანგარიშზე.

12. კაპიტალი

(ა) საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი წარმოადგენს კომპანიის სადამფუძნებლო დოკუმენტებში და კაპიტალის გაზრდასთან დაკავშირებით მესაკუთრის მიერ მიღებული გადაწყვეტილებით განსაზღვრულ კაპიტალის ნომინალურ ღირებულებას.

წესდების მიხედვით კომპანიის საწესდებო კაპიტალში შენატანი არ ფიქსირდება.

(ბ) დივიდენდები

კაპიტალის მფლობელებს უფლება აქვთ მიიღონ პერიოდულად გამოცხადებული დივიდენდები და ზოგად კრებაზე სარგებლობენ პროპორციული ხმის მიცემის უფლებით კომპანიის აქციებში წილობრივი მონაწილეობის შესაბამისად.

(გ) კაპიტალის მართვა

კომპანიას არ აქვს კაპიტალის მართვის ფორმალური პოლიტიკა, თუმცა ხელმძღვანელობა ცდილობს კომპანიის სტრატეგიული საჭიროებებიდან გამომდინარე კაპიტალის შესაბამისი ბაზის უზრუნველყოფრაც მიიღწევა ფულის ეფექტური მართვის და კომპანიის შემოსავლის და მოგების მუდმივი მონიტორინგის საშუალებით.

13. სამართლიანი ღირებულება და რისკების მართვა

(ა) ფინანსური აქტივების და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება

სამართლიანი ღირებულების შეფასების მიზანია ფასის განსაზღვრა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვიდან, ან გადახდილი იქნება ვალდებულების გადაცემისთვის, ბაზრის მონაწილეებს შორის ოპერაციის ფარგლებში, შეფასების თარიღისთვის. თუმცა, შეფასების სუბიექტურობიდან გამომდინარე, რეალური სამართლიანი ღირებულება არ უნდა იყოს ინტერპრეტირებული, როგორც შესრულებადი აქტივის დაუყოვნებლივ გაყიდვა ან ვალდებულების გადაცემა. კომპანიამ განსაზღვრა ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება შეფასების ტექნიკის გამოყენებით. შეფასების ტექნიკის მიზანია სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა, რომელიც ასახავს ფასს, რომელიც მიიღება აქტივების გაყიდვიდან ან გადაიხდება ვალდებულებების გადაცემით შეფასების დღეს ბაზრის მონაწილეთა შორის სტანდარტულ ოპერაციებში. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებები მიახლოებულია მათ სამართლიან ღირებულებებთან.

(ბ) ფინანსური რისკის მართვა

ფინანსური ინსტრუმენტებით გამოყენების მიზნით, კომპანია დგას შემდეგი რისკების წინაშე:

- საკრედიტო რისკი (იხილეთ შენიშვნა 14(ბ) (ii));
- ლიკვიდურობის რისკი (იხილეთ შენიშვნა 14(ბ) (iii));
- საბაზრო რისკი (იხილეთ შენიშვნა 14(ბ) (iv)).

(i) რისკების მართვის სტრუქტურა

ხელმძღვანელობას აქვს მთლიანი პასუხისმგებლობა კომპანიის რისკების მართვის სტრუქტურის დანერგვასა და ზედამხედველობაზე. მათ მოვალეობაში აგრეთვე შედის კომპანიის რისკების მენეჯმენტის პოლიტიკის შემუშავება და მონიტორინგი და კომპანიის საქმიანობის შედეგების დამფუძნებლისთვის წარდგენა. კომპანიის რისკების მართვის პოლიტიკა შეიქმნა იმისათვის, რომ დადგინდეს და გაანალიზდეს კომპანიის წინაშე მდგარი რისკები, განისაზღვროს რისკის სათანადო ზღვარი და კონტროლის მექანიზმები, ასევე განხორციელდეს რისკების მონიტორინგი და დადგენილი ზღვრის მკაცრი დაცვა. რისკების მართვის პოლიტიკა და სისტემა რეგულარულად განიხილება, რათა აისახოს შესაბამისი ცვლილებები საბაზრო პირობებში და კომპანიის საქმიანობაში. კომპანია მრავალმხრივი ტრენინგების, მენეჯერული სტანდარტებისა და პროცედურების დანერგვით, ცდილობს განავითაროს მოწესრიგებული და კონსტრუქციული გარემო, სადაც თანამშრომლებს გაცნობიერებული ექნებათ თავიანთი როლი და ვალდებულებები. დამფუძნებლები ზედამხედველობას უწევენ, თუ რამდენად შეესაბამება ხელმძღვანელობა კომპანიის რისკების მართვის პოლიტიკასა და პროცედურებს და განიხილავენ რისკების მართვის ჩარჩოების ადეკვატურობას იმ რისკებთან მიმართებაში, რომლის წინაშეც დგას კომპანია.

(ii) საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის კომპანიის ფინანსური დანაკარგის რისკი, როდესაც მომხმარებელი ან ფინანსური ინსტრუმენტის მფლობელი მეორე მხარე ვერ ასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს. საკრედიტო რისკი გამომდინარეობს კომპანიის ბალანსზე არსებული შემდეგი ნაშთებიდან: კომპანიის მოთხოვნები, შეზღუდული ფულადი ნაშთები და ბანკში არსებული ანგარიშები. მაქსიმალური დაქვემდებარება საკრედიტო რისკის მიმართ სააღრიცხვო თარიღისთვის არის შემდეგი:

საბალანსო ღირებულება

ლარი	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	154,205	1,412,226
მოთხოვნები	828,337	711,217
	982,542	2,123,443

ფულადი სახსრების მოთხოვნები მომწოდებლებისგან

მოთხოვნების არსებითი ნაწილის გადახდა განხორციელდა სააღრიცხვო თარიღის შემდგომ. შესაბამისად, ხელმძღვანელობას სჯერა, რომ კომპანიას არ აქვს არსებითი მგრძნობელობა საკრედიტო რისკის მიმართ აღნიშნულ მოთხოვნებთან დაკავშირებით. კომპანიის პოლიტიკის თანახმად, კომპანია არ ითხოვს უზრუნველყოფას სავაჭრო და სხვა მოთხოვნებთან მიმართებაში.

(iii) ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის ისეთი რისკი, რომლის დროსაც კომპანიას ექმნება სირთულეები ნაკისრი ფინანსური ვალდებულებების შესრულებაში და რომელთა დასაფარად საჭიროა ფულის ან სხვა ფინანსური აქტივის მიწოდება. კომპანია შეძლებისდაგვარად ცდილობს ლიკვიდურობის მართვის უზრუნველყოფას, რათა ყოველთვის ჰქონდეს ვალდებულებების ვადაში დაფარვის შესაძლებლობა, როგორც ჩვეულებრივ, ასევე კრიზისულ პერიოდში, არასაჭირო დანაკარგების ან კომპანიის რეპუტაციისთვის ზიანის მიყენების თავიდან ასაცილებლად. ლიკვიდურობის რისკის გონივრული მართვა გულისხმობს საკმარისი ფულის ნაშთის ქონას და დამატებით დაფინანსებაზე ხელმისაწვდომობას. კომპანია უზრუნველყოფს საკმარის და ხელმისაწვდომ ფულად სახსრებს, მოსალოდნელი საოპერაციო ხარჯების, მათ შორის ფინანსური ვალდებულებების მომსახურების ხარჯების, დასაფარავად, თუმცა არ ითვალისწინებს იმ ექსტრემალური სიტუაციების შესაძლო ზეგავლენებს, რომელთა წინასწარ განჭვრეტა შეუძლებელია. ლიკვიდურობის რისკის მართვის მიზნებისთვის კომპანია იყენებს ხანდაზმულობის ანალიზს. არსებული ხელშეკრულებების საფუძველზე, კომპანიის ყველა ფინანსური ვალდებულება უნდა დაიფაროს სააღრიცხვო თარიღის შემდგომ თორმეტი თვის განმავლობაში.

(iv) საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი წარმოადგენს საბაზრო ფასების ცვალებადობის რისკს, რაც მოიცავს სავალუტო გაცვლით კურსების, საპროცენტო განაკვეთებისა და კაპიტალის ღირებულების ცვალებადობის რისკს, რამაც შესაძლოა გავლენა იქონიოს კომპანიის შემოსავლებზე ან მის ხელთ არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულებაზე. საბაზრო რისკების მართვის მიზანია საბაზრო რისკების საფრთხის მართვა და კონტროლი მისაღები პარამეტრების საფუძველზე შემოსავლების ოპტიმიზაციის ფონზე.

14. დაკავშირებული მხარეები

(ა) ოპერაციები წამყვან ხელმძღვანელობასთან

(i) წამყვანი ხელმძღვანელობის ანაზღაურება

წამყვანმა ხელმძღვანელობამ წლის განმავლობაში მიიღო შემდეგი ანაზღაურება:

ლარი

ხელფასები

2024 წელი

236,505 ლარი

15. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა და შეფასებები

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ:

(ა) შემოსავალი

შემოსავალი მოიცავს კომპანიის ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში მომსახურების გაწევიდან მიღებულ ან მისაღებ ანაზღაურების რეალურ ღირებულებას.

კომპანია მაშინ აღირებს ამონაგებს, როდესაც: შესაძლებელია ამონაგების ოდენობის საიმედოდ შეფასება; მოსალოდნელია, რომ კომპანიაში შემოვა მომავალი ეკონომიკური სარგებელი; და დაკმაყოფილებულია კომპანიის შესაფერისი კრიტერიუმი: კომპანია ძირითადი საქმიანობა მოიცავს სარეკლამო სააგენტოების საქმიანობას, რომელიც წამოადგენს შემოსავლის მიღების ძირითად წყაროს.

(ბ) სხვა ხარჯები

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს.

ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარ არის მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს. თუ ეკონომიკური სარგებელი მოსალოდნელია, რომ წარმოიქმნება რამდენიმე სააღრიცხვო პერიოდის განმავლობაში, მასთან დაკავშირებული ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება გონივრული განაწილების საფუძველზე.

(გ) სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები შეფასებულია თვითღირებულებასა და გაყიდვასთან დაკავშირებული ხარჯებით შემცირებულ გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების თვითღირებულება მოიცავს: მათ შეძენასთან და გადამუშავებასთან დაკავშირებულ ყველა დანახარჯს, აგრეთვე იმ დანახარჯებს, რომლებიც გაწეულია მისი მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისათვის და სათანადო მდგომარეობაში მოსაყვანად.

გაყიდული (გამოყენებული) სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების საბალანსო ღირებულება აღიარდება იმ პერიოდის ხარჯებად, როდესაც აღიარდება შესაბამისი შემოსავლები. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ღირებულების ხარჯად აღიარებისათვის გამოიყენება საშუალო შეწონვის (MIDL) მეთოდი.

(დ) ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალების ერთეულის საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით, თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს შეძენის ფასსა და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად. შემდგომი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ შეფასება. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სხვა სახის დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე რემონტებთან, აღიარდება როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში.

ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებასა, დაგროვილ ცვთასა და გაუფასურების ზარალს შორის სხვაობის თანხით. ცვეთა ერიცხება აღნიშნულ აქტივთა ჯგუფს, მთლიანად მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. კომპანია იყენებს ცვეთის წრფივი დარიცხვის მეთოდს სასარგებლო მომსახურების პერიოდი და ცვეთის მეთოდი გადაიხედება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ღირებულების ცვლილების ეფექტის გათვალისწინებით, პერსპექტიულ საფუძველზე. იმ შემთხვევაში, თუ ძირითადი საშუალებების თითოეულ კომპონენტს გააჩნია განსხვავებული ექსპლუატაციის პირობები, მაშინ ამდაგვარი აქტივთა ჯგუფი აღირიცხება ინდივიდუალურად.

(ე) სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

რეალიზაცია ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულებების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგება-ზარალში.

(ვ) სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო მოთხოვნები თავდაპირველად აღიარებულია გარიგების ფასით. სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების ანარიცხი იქმნება იმ შემთხვევაში, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულებები იმისა, რომ კომპანია ვერ შეძლებს დავალიანების სრულად ამოღებას მოთხოვნების თავდაპირველი პირობების შესაბამისად. სავაჭრო მოთხოვნები ძირითადად შედგება იმ მიუღებელი თანხებისგან რომელზეც კომპანიამ გაუწია დამკვეთს გარკვეული სახის მომსახურება, აღიარა შემოსავლად მაგრამ არ მიუღია შესაბამისი ანაზღაურება. ვინაიდან არ არსებობს აქტივის გაუფასურების ობიექტური მტკიცებები, ფინანსურ ანგარიშგებაში ისინი აღირიცხულია ნომინალური ღირებულებით და კლასიფიცირებულია მმოთხოვნებად.

16. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ადგილი არ ჰქონია მნიშვნელოვან მოვლენებს.